ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1668840

ნომერი: AR1275394

თარიღი : 24.12.2014

გაცემის თარიღი : 31.12.2014

გაცნობის თარიღი : 31.12.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

მეტრო სარაჯიშვილის მოპირდაპირედ. ს.კ 01.11.04.026.018-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ორგანიზაცია:
- ბიჯი ჯგუფი კოდი: 200268021

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, ამასთანავე პოდიუმის განთავსება ხდება თვითმართველი ერთეულის მიწის ნაკვეთზე, შესაბამისად არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე პოდიუმის განთავსება. შესაძლებელია გამოინახოს მისი განთავსების სხვა ალტერნატიული ადგილმდებაორება, რისთვისაც საჭიროა ახალი განცხადებით დაარეგისტრიროთ განცხადება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.